



ქართული კენკრის განვითარების პენსაკეტივები ევროკავშირის ბაზარზე

AN OVERVIEW OF THE POTENTIAL OF GEORGIAN BERRIES ON THE EU MARKET

პოლიტიკის ნაჩვენები
POLICY PAPER

ავტორი:
სალომე გელაშვილი
ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

Author:
Salome Gelashvili
ISET Policy Institute

2019

ქართული კენკრის
განვითარების პენსკექტივი
ევროკავშირის ბაზარზე

AN OVERVIEW OF THE POTENTIAL
OF GEORGIAN BERRIES
ON THE EU MARKET

პოლიტიკის დოკუმენტი
POLICY DOCUMENT

ავტორი:
სალომე გელაშვილი
ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი

Author:
Salome Gelashvili
ISET Policy Institute

პროექტის შესახებ

ბროშურა მომზადებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სურსათისა და სოფლის მეურნეობის დარგში მცირე და საშუალო სანარმოების მხარდამჭერი ინიციატივა“ (FASSI) ფარგლებში. პროექტის განმახორციელებლები არიან: საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი (ISET-PI), ასოციაცია „ათინათი“, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA) და ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA).

პროექტი მიზნად ისახავს მცირე და საშუალო აგროსანარმოების ევროკავშირის ბაზარზე გასვლაში დახმარებას, ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების გაძლიერების გზით.

ABOUT THE PROJECT

This document was developed within the project “Food and Agriculture SME Support Initiative (FASSI)” funded by the European Union and implemented by the Georgian Farmers’ Association together with its partner organizations: ISET Policy Institute, Civil Development Agency (CiDA), Export Development Association (EDA), and Association Atinati.

The project’s main objective is to strengthen the capacity of Business Support Organizations in the food and agriculture sectors so that they may more effectively assist their members to comply with the new regulations and gain access to the EU market.

1. შესავალი	
1. INTRODUCTION	5
2. კენკროვანი კულტურები საქართველოში	
2. BERRY CROPS IN GEORGIA	5
3. კენკროვანი კულტურები მსოფლიო ბაზარზე	
3. BERRY CROPS ON THE WORLD MARKET	15
3.1. მარწყვი	
3.1. Strawberries	18
3.2. მოცვი	
3.2. Blueberries	23
3.3. ჟოლო და მაცვალი	
3.3. Raspberries and blackberries	27
4. დასკვნა	
4. CONCLUSION	33
5. რეკომენდაციები	
5. RECOMMENDATIONS	37
გამოყენებული ლიტერატურა	
BIBLIOGRAPHY	41

1. შესავალი

ქართველ ფერმერებში კენკროვანი კულტურების წარმოება სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დივერსიფიკაციის საჭიროებისა და ევროკავშირის ბაზართან დაკავშირებული შესაძლებლობების შედეგად, სექტორს მეტი ყურადღება ექცევა როგორც ფერმერების, ისე სახელმწიფოს მხრიდან.

ამჟამად არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტი თუ სახელმწიფო პროგრამა სწორედ ამ სექტორის განვითარებაზეა მიმართული.

ამ პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია:

- ძირითადი კენკროვანი კულტურების პოტენციალის მიმოხილვა ევროკავშირის ბაზარზე;
- კენკროვნების ღირებულებათა ჯაჭვის გამონვევებისა და შესაძლებლობების მიმოხილვა; და
- რეკომენდაციების გაწევა კენკროვნების ღირებულებათა ჯაჭვის მონაწილეებისთვის.

პოლიტიკის დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროა ლიტერატურის მიმოხილვა, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და ინდივიდუალური ინტერვიუები მწარმოებლებთან, ექსპერტებსა და საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

2. კენკროვანი კულტურის საქონელი

კენკროვანი კულტურების წარმოება ფერმერულ მეურნეობებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო წლების განმავლობაში. თუ ადრე კენკროვანი კულტურები, ძირითადად, ველურ პირობებში მოდიოდა და საოჯახო მეურნეობები საკუთარი მოხმარებისთვის გამოიყენებდნენ, დღეს უკვე კენკროვნების წარმოება კომერციალიზაციის უფრო მაღალი დონით გამოირჩევა, რასაც სხვა ქვეყნებიდან კულ-

1. INTRODUCTION

The cultivation of berries is becoming increasingly popular among farmers in Georgia. The necessity of diversification in agricultural production and opportunities in the EU market have led farmers and the state to placing greater focus on the sector. At present, many international organizations' projects, as well as state programs, are directed towards the development of this sector.

The objective of this policy document is to:

- Assess the potential of the main varieties of berry on the EU market;
- Identify the challenges and opportunities of the berry value chain;
- Provide recommendations to the value chain actors.

The information provided in this policy document is based on a literature review, an analysis of statistical data, and on individual interviews with producers, experts, and public sector representatives.

2. BERRY CROPS IN GEORGIA

In recent years, the farming production of berry crops has become extremely popular. Where previously berry crops grew mostly under wild conditions and were utilized domestically by family farms, presently, the production of berries is characterized by greater levels of commercialization, aided by the import of new varieties of berry from other countries.¹ Since berries have gained popularity among farmers, in just the

¹ Kochlamazishvili, I. & Khatishashvili, N. (2019). Blackberry value chain analysis in Kakheti

ტურული ჯიშების შემოსვლა განაპირობებს.¹ ვინაიდან კენკროვნებმა განსაკუთრებული პოპულარობა ფერმერებში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოიპოვა, გაშენებული ბაღების უმეტესობა სრულ მსხმოიარობაში ჯერ არ არის შესული. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კენკროვანი ხილის წარმოება საქართველოში 2017 წელს თითქმის 3-ჯერ აღემატებოდა 2013 და 2014 წლების მონაცემებს, რაც კენკროვნების წარმოების მზარდ ტემპებზე მიანიშნებს (1-ლი დიაგრამა).


რაც შეეხება კენკროვნების ნათესი ფართობების რეგიონულ გადანაწილებას, 2017 წელს კენკროვნების ყველაზე დიდი ნათესი ფართობები იყო კახეთში (867 ჰა), შიდა ქართლსა (485 ჰა) და იმერეთში (304 ჰა). მონაცემებიდან ჩანს, რომ კენკროვნების გაშენება საქართველოს ყველა რეგიონში ხდება (მე-2 დიაგრამა).

last few years, most cultivated orchards have not yet fully entered fructification. The statistical data from 2017 reveals that berry production in Georgia was almost three times higher than the indicators from 2013 and 2014, which suggests an increasing pace in production (Figure 1).

The regional distribution of sown areas of berries in 2017 shows that the largest areas were located in Kakheti (867 ha), Shida Kartli (485 ha), and Imereti (304 ha). As the data further highlights, berries are being cultivated in every Georgian region (Figure 2).

დიაგრამა 1. კენკროვნების წარმოება საქართველოში

Figure 1. Berry production in Georgia




წყარო: საქსტატი, 2018 წელი

Source: Geostat, 2018

¹ კოჭლამაზიშვილი ი., ხატისაშვილი ნ. – „მაყვლის ღირებულება და ჯაჭვის ანალიზი კახეთის რეგიონში“, 2019 წ.

დიაგრამა 2. კენკროვნების ნათესი ფართობი, 2017 წელი

Figure 2. Berry orchards, by regions (ha), 2017



წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2018 წელი

Source: The Ministry of Environment Protection and Agriculture, 2018

საქართველოში კენკროვნების წარმოების პოპულარიზაციის ხელი რამდენიმე ფაქტორმა შეუწყო:

1. საქართველოს კლიმატურ-ნიადაგური პირობები ხელს უწყობს კენკროვნების მოყვანას;
2. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა ხელსაყრელია როგორც ევროპის, ისე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობისთვის;
3. კენკროვანი კულტურების წარმოებიდან მიღებული შემოსავალი და მოგება ხშირად აღემატება საქართველოში გავრცელებული სხვა კულტურებიდან მიღებულ შემოსავალსა და მოგებას (1-ლი ცხრილი);

Several factors have contributed to the promotion of berry production in Georgia:

1. Georgian climate and soil conditions are beneficial for berry cultivation;
2. The geographical location of the country is favorable for trading with Europe, as well as with Asia, and the Middle East;
3. The revenue and profit from berry production often exceeds the revenue from other cultures common in Georgia (Table 1);

1-ლი ცხრილი. კენკროვნების მოსავლიანობა და ფასი

**Table 1. Berry yields
and prices**

კულტურა Crop variety	მოსავლიანობა კგ/ჰა Yield kg / ha	ნორმატიული ფასი ლარი/კგ Normative price GEL / kg	ნორმატიული ლირებულება ლარი/ჰა normative value GEL/ha
მარწყვი/Strawberry	9000	1.5	13500
ჟოლო/Raspberry	5000	2.8	14000
მოცხარი/Currant	6000	2	12000
მოცვი/Blueberry	8000	4	32000
მაყვავი/Blackberry	5000	2.8	14000
მარცვლეული/Cereals	2760	0.6	1656
პარკოსანი/Legumes	2050	2.3	4715
ბოსტნეული/Vegetables	22000	1.1	24200

წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის
სააგენტო, 2018 წელი

შენიშვნა: მარცვლეულის, პარკოსნებისა და ბოსტნეულის
შემთხვევაში გამოყენებულია საშუალო მაჩვენებლები

Source: Ministry of Environment Protection and
Agriculture of Georgia, Agricultural Projects Mana-
gement Agency, 2018


Note: Average values are indicated in case of cereals,
legumes and vegetables

4. სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები (USAID-ის პროექტი „ზრდა“, პროექტ „REAP“-ის გაგრძელება და ევროკავშირის ENPARD-ის პროექტი) აქტიურად უჭერენ მხარს კენკროვნების წარმოებას და ფერმერს სთავაზობენ თანადაფინანსებას. ასე, მაგალითად, პროექტ „დანერგე მომავლის“ ფარგლებში, 30.09.2018 წლის მდგომარეობით, საქართველოში გაშენებული იყო 434.03 ჰა კენკროვანი კულტურის ბაღი, რაზეც სააგენტომ თანადაფინანსების სახით 4,779,619 ლარი დახარჯა (მე-3 დიაგრამა).

4. State and international organizations (the USAID project ‘Growth in Georgia’, the REAP project, and the EU ENPARD project) actively support the production of berries and offer farmers co-financing opportunities. For instance, as of the end of September 2018, in the framework of the project ‘Plant the Future’, 434.03 ha of berries have been planted in Georgia and the agency has spent 4,779,619 GEL on co-financing (Figure 3).

დიაგრამა 3. „დანერგე მომავალი“-ს ფარგლებში გაშენებული ბალები

Figure 3. Orchards planted within the framework of “Plant the Future”




წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018 წ.

Source: Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, Agricultural Projects Management Agency, 2018

დიაგრამა 4. „დანერგე მომავალი“-ს ფარგლებში გაშენებული ბალები რეგიონების მიხედვით

Figure 4. Orchards planted within the framework of “Plant the Future”, by region



წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018 წ.

Source: Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, Agricultural Projects Management Agency, 2018

პროგრამის ფარგლებში გაშენებული ბაღების 47% ლურჯ მოცვზე მოდის, 28% – ჟოლოზე, ხოლო 25% – მაყვალზე. რაც შეეხება რეგიონულ გადანაწილებას, პროგრამის ფარგლებში ყველაზე დიდი ფართობის ბაღები აჭარის რეგიონში გაშენდა (იხ. მე-4 დიაგრამა).

რაც შეეხება რეგიონული თვალსაზრისით კულტურების გადანაწილებას, მაგალითად, ლურჯი მოცვის ბაღები, ძირითადად, სამეგრელოში გაშენდა (იხ. მე-5 დიაგრამა), მაყვლის ბაღები – კახეთში (მე-6 დიაგრამა), ხოლო ჟოლოსი – შიდა ქართლში (მე-7 დიაგრამა), რაც, ძირითადად, განპირობებულია ნიადაგურ-კლიმატური პირობებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში ლურჯი მოცვის წარმოება კონცენტრირებულია 4 რეგიონში მამინ, როდესაც მაყვლისა და ჟოლოს წარმოება უფრო მეტადაა დივერსიფიცირებული რეგიონულ ქსრილში. მაგალითად, ჟოლო თითქმის ყველა რეგიონში გაშენდა. მართალია, ბაღების 30% შიდა ქართლშია, თუმცა საკმაოდ დიდი წილი წარმოდგენილია კახეთში (17%), გურიასა (16%) და ქვემო ქართლში (12%). მაყვალზე ბევრგან ინარმოება, თუმცა ბაღების ნახევარზე მეტი (51%) კახეთზე მოდის, რომელსაც შიდა ქართლი მოჰყვება ბაღების 28%-ით.

Around 47% of the gardens built within the program grow blueberries, 28% raspberries, and 25% blackberries. As for the regional distribution, the largest orchards within the program are found in Adjara (Figure 4).


Concerning the regional distribution of varieties, blueberries are mainly cultivated in Samegrelo (Figure 5), blackberry farms are chiefly found in Kakheti (Figure 6), and raspberries in Shida Kartli (Figure 7). These differences are largely due to the varying soil and climatic conditions.

It is noteworthy that blueberry production is the most concentrated. Within the program, blueberry gardens were cultivated in just four regions, while blackberry and raspberry farming is more regionally diversified. For example, raspberries are cultivated in almost every region.

Although 30% of all berry gardens are in Shida Kartli, a large proportion are found in Kakheti (17%), Guria (16%), and Kvemo Kartli (12%). Blackberries are grown in various locales, although more than half of the farms (51%) are located to Kakheti, followed by Shida Kartli (28%).

დიაგრამა 5. „დანერგე მომავალი“-ს ფარგლებში გაშენებული ლურჯი მოცვის ბაღების რეგიონული გადანაწილება

Figure 5. Regional distribution of blueberry orchards in the framework of “Plant the Future”




წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018 წ.

Source: Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, Agricultural Projects Management Agency, 2018

დიაგრამა 6. „დანერგე მომავალი“-ს ფარგლებში გაშენებული მაცვლის ბაღების რეგიონული გადანაწილება

Figure 6. Regional distribution of blackberry orchards in the framework of “Plant the Future”




წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018 წ.

Source: Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, Agricultural Projects Management Agency, 2018

დიაგრამა 7. „დანერგე მომავალი“-ს ფარგლებში გაშენებული ყოლის ბაღების რეგიონული გადანაწილება

Figure 7. Regional distribution of raspberry orchards in the framework of “Plant the Future”



წყარო: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018 წელი

Source: Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, Agricultural Projects Management Agency, 2018

5. კენკროვან კულტურებზე მოთხოვნა მაღალია როგორც ადგილობრივად, ისე საზღვარგარეთ. ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის როგორც ახალი კენკროვნების მსოფლიო იმპორტის (53%, 2017 წელს), ისე გაყინული კენკრის იმპორტის (62%, 2017 წელს) უდიდესი ნაწილი. ამრიგად, ევროკავშირი არის როგორც გაყინული, ისე ნედლი (ახალი) კენკრის ყველაზე მსხვილი იმპორტიორი მსოფლიოში (საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი, 2019 წ.).

საქართველოს შემთხვევაში, კენკროვნების ექსპორტი აღემატება იმპორტს. ასე, მაგალითად, 2017 წელს კენკრის ექსპორტი (პირველადი და გადამუშავებული სახით, ერთად) 24%-ით აღემატებოდა იმპორტს. სავაჭრო სალდო დადებითი იყო 2008-2011, 2013 და 2015 წლებში.

პირველადი სახით კენკროვნების ექსპორტი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება (მე-8 დიაგრამა). როგორც დიაგრამიდან ჩანს, ექსპორტის უმეტესობა ახალ, დაუმუშავებელ, გაყინვან კენკრაზე მოდის.


5. The demand for berry crops is significant both locally and abroad. A major portion of the world's fresh berry imports (53% in 2017) are to EU countries, as well as the largest share of frozen berry imports (62% in 2017). Thus, the EU is the world's largest importer of both frozen and fresh berries (International Trade Center, 2019).

In Georgia, the export of berries exceeds their import. For instance, in 2017, the export of berries (both non-processed and processed) exceeded the import by 24%. The trade balance was also positive from 2008-2011, and in 2013 and 2015.

The export of unprocessed berries was characterized by an increasing trend (Figure 8). As the figure shows, the largest share of the exports is related to fresh, unprocessed, non-frozen berries.

დიაგრამა 8. კენკროვნების ექსპორტი, 2010-2018 წწ.

Figure 8. Berry export, 2010-2018




რაც შეეხება საექსპორტო სახეობებს, კენკრის ექსპორტში ღირებულების თვალსაზრისით, ყველაზე დიდი წილი ლურჯი მოცვის ექსპორტზე მოდის (მე-9 დიაგრამა). მაგალითად, 2018 წელს ლურჯ მოცვზე ახალი კენკრის მთლიანი ექსპორტის 88% მოდიოდა. 2013 წლიდან სწორედ ამ კატეგორიას აქვს ყველაზე მაღალი წილი ახალი კენკრის ექსპორტში. 2013 წელს ეს მაჩვენებელი 97.2% იყო, 2014 წელს – 97.7%, 2015 წელს – 98.5%, 2016 წელს – 96.1%, 2017 წელს კი – 69.4%.

Considering the variety of exported berries, the largest section was of blueberries (Figure 9). In 2018, for instance, blueberry exports reached 88% of the total export value. Furthermore, since 2013, it has held the most significant share of all Georgian fresh berry exports- 97.2% in 2013, 97.7% in 2014, 98.5% in 2015, 96.1% in 2016 and 69.4% in 2017.

დიაგრამა 9. ახალი კენკრის ექსპორტი, სახეობების მიხედვით, 2010-2018 წწ.

Figure 9. Fresh berry exports, by varieties, 2010-2018



წყარო: საქსტატი, 2019 წელი

Source: Geostat, 2019

2018 წლის მონაცემებით, მოცვისთვის ძირითადი საექსპორტო ბაზრებია რუსეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ყატარი და უკრაინა, მარწყვისთვის – ლატვია, ყატარი და უკრაინა, ხოლო ჟოლოსა და მაცვლისთვის – სომხეთი და რუსეთი (საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი, 2019 წ.). რაც შეეხება გაცივებულ კენკრას, რომლის ექსპორტიც ძალზე უმნიშვნელოა, აქ ძირითადი

In 2018, the main blueberry export markets were Russia, the United Arab Emirates, Qatar, and Ukraine. While strawberries were chiefly traded with Latvia, Qatar, and Ukraine, and the main export markets for raspberries and blackberries were Armenia and Russia (International Trade Center, 2019). For frozen

ბაზრებია გერმანია, ყატარი და თურქეთი (საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი, 2019 წ.).


რაც შეეხება კენკრის იმპორტს, ექსპორტისგან განსხვავებით, სადაც უმეტესობა ახალი კენკრის ექსპორტზე მოდის, იმპორტის შემთხვევაში, წყალში ან ორთქლზე თბურად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გაყინული, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით, ან მათ გარეშე, კენკრის იმპორტი საკმაოდ აქტიურია. 2017 წლამდე იგი უფრო ნაკლები იყო ვიდრე ახალი კენკრის იმპორტი, მაგრამ 2018 წელს ახალზე უფრო მეტი სწორედ ამ კატეგორიის კენკრა შემოვიდა საქართველოში (მე-10 დიაგრამა).

დიაგრამა 10. კენკრის იმპორტი, 2010-2018 წწ.

berries, the export of which is largely insignificant, the principal markets were Germany, Qatar, and Turkey (International Trade Center, 2019).

While the largest share of exports consists of fresh berries, imports focus on fruit processed with water or steam, frozen berries, and those with added sugar or other sweeteners. Until 2017, the import of these berries was less than that of fresh berries, however by 2018, berries from this category had taken the larger share of total imports (Figure 10).

Figure 10. Import of berries, 2010-2018



წყარო: სასტატისტიკო, 2019 წელი

Source: Geostat, 2019

რაც შეეხება იმპორტირებული კენკროვნების სახეობებს, იმპორტში ყველაზე დიდი წილი მარწყვზე მოდის, რომელსაც მოჰყვება მოცვი


As for imported berries, the largest share of imports was in strawberries, followed by blueberries (Figure 11). As

(მე-11 დიაგრამა). როგორც დიაგრამიდან ჩანს, ეს ტენდენცია ნარჩუნდება ბოლო 9 წლის განმავლობაში. მარწყვის იმპორტი მნიშვნელოვნად აღემატება სხვა კენკრის იმპორტს.

illustrated within the figure, this trend has held for the last nine years. The import of strawberries largely exceeds that of other varieties of berry.

დიაგრამა 11. ახალი კენკრის იმპორტი, სახეობების მიხედვით, 2010-2018 წწ.

Figure 11. Fresh berry imports, according by varieties, 2010-2018



წყარო: საქსტატი, 2019 წელი

Source: Geostat, 2019

3. კენკროვანი კულტურების მსოფლიო ბაზარი

რაც შეეხება მსოფლიო ტენდენციას, ქვემოთ მოცემულია კენკროვნების მსოფლიო ბაზრის რამდენიმე მახასიათებელი (მე-2 ცხრილი).

3. BERRY CROPS ON THE WORLD MARKET

Regarding worldwide trends, a few characteristics of the world berry market are illustrated below (Table 2).

მე-2 ცხრილი. მსოფლიო ბაზრის
მახასიათებლები

Table 2. World market
characteristics

	მარწყვი Strawberries	როსები Raspberries	მაცვალი Blackberries	მოცვი Blueberries
დასახელება Varieties				
უმსხვილესი მწარმოებელი The largest producer	ჩინეთი China	რუსეთი Russia	მექსიკა ⁵ Mexico ⁵	აშშ USA
უმსხვილესი ექსპორტიორი (რაოდენობით) The largest exporter (by quantity)	ესპანეთი Spain	მექსიკა და ესპანეთი (ახალი); სერბეთი და პოლონეთი (გაცივებული) ⁴ Mexico and Spain (fresh); Serbia and Poland (frozen ⁴)		ჩილე (ახალი) Chile (fresh)
უმსხვილესი იმპორტიორი The largest importer	აშშ USA	აშშ და კანადა (ახალი); გერმანია და საფრანგეთი (გაცივებული) USA and Canada (fresh); Germany and France (frozen)		აშშ (ახალი) USA (fresh)
საშუალო საცალო ფასი გლობალურად (აშშ დოლარი/კგ) Average retail price globally (USD / kg)	4.05	12.2	8.53	5.17
ფასის მერყეობა (ვარიაცია) ² Price fluctuation (variation) ²	საშუალო (ვარიაციის კოეფიციენტი 12%) Average (variation coefficient 12%)	მაღალი (ვარიაციის კოეფიციენტი 28%) High (variation coefficient 28%)	მაღალი (ვარიაციის კოეფიციენტი 30%) High (variation coefficient 30%)	მაღალი (ვარიაციის კოეფიციენტი 34.3%) High (variation coefficient 34.3%)
ბაზრის კონცენტრაციის დონე ³ Level of market concentration ³	მაღალი (HHI 20.94%) High (HHI 20.94%)	საშუალო (HHI 13.03%) Average (HHI 13.03%)	არ არის ხელმისაწვდომი Not available	არ არის ხელმისაწვდომი Not available

ამრიგად, ყველაზე მაღალი საშუალო ფასი აქვს ყოლოს, რომლის უმსხვილესი მწარმოებელია რუსეთი. მართალია, ყოლოს აქვს მაღალი ფასი, თუმცა ფასის ვარიაციის კოეფიციენტიც მაღალია, რაც ფასისმიერი რისკების არსებობაზე მიუთითებს, ყოლოს შემთხვევაში. ამავდროულად, მწარმოებელთა ბაზარი საკმაოდ დივერსიფიცირებულია, როგორც ამას ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი (HHI) აჩვენებს.

რაც შეეხება სხვა კენკროვნებს, ფასის თვალსაზრისით, მეორე ადგილზეა მაცვლი, რომელიც ასევე ფასის მაღალი ვარიაციით გამოირჩევა. ფასის მაღალი ცვალებადობით ხასიათდება მოციცი, ხოლო მარწყვის ფასს საშუალო ხარისხის ვარიაცია ახასიათებს. მარწყვის შემთხვევაში, აღსანიშნავია, რომ ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი მაღალია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მწარმოებელთა ბაზარზე რამდენიმე მწარმოებელი დომინირებს და ეს ბაზარი ნაკლებად კონკურენტულია.

ასევე აღსანიშნავია ახალი და გაყინული ხილის ბაზრებს შორის განსხვავებები. ეს ბაზრები განსხვავდება როგორც ფასებით, ისე მიმწოდებელი ქვეყნებით, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული.

As one can see, raspberries have the highest average price, the largest producer of which is Russia. Aside from the high value of raspberries, their price variation coefficient is also relatively high, indicating their price risks. Moreover, as the Market Concentration Index (HHI) reveals, the producers' market is quite diversified.

In terms of prices, blackberries maintain the second place on the market, and are also characterized by higher prices. Similarly, blueberries see high price fluctuations, while the strawberry price is typified by the average rate variation. Although with strawberries, it should be noted that the market concentrations index is high, which indicates that the producers' market is dominated by several producers and the market is less competitive.

For other berries, the differences between the fresh and frozen fruit markets should be noted. The markets, described above, are different for both price and supplier countries, as discussed in detail below.

- 2 ვარიაციის კოეფიციენტი ზომავს ფასების ცვალებადობას. რაც უფრო მაღალია ვარიაციის კოეფიციენტი, მით უფრო ცვალებადია ფასი.
- 3 ბაზრის კონცენტრაცია იზომება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით (HHI). კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ წარმოებაში სულ რამდენიმე მოთამაშე დომინირებს, ანუ ბაზარი არ არის დივერსიფიცირებული.
- 4 ვაჭრობის მონაცემები მხოლოდ აგრეგირებულად არის ხელმისაწვდომი მაცვლისა და ყოლოსთვის.
- 5 გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ცალკე არ გამოყოფს მაცვლის წარმოებას, არამედ აგრეგირებულად აქვეყნებს კატეგორიაში: სხვა კენკროვნები, გარდა მარწყვი, ყოლო, მოციცი, და კონახური. 2016 წლის მონაცემებით, მექსიკა ლიდერობს (FAO).

- 2 The variation coefficient measures price variations- the higher the variation coefficient, the higher the price.
- 3 Market concentration is measured by the Herfindal-Hirschman Index (HHI). A high concentration indicator identifies that only a few players dominate the industry, showing the market is not diversified.
- 4 Only aggregated trade data is available for blackberries and raspberries.
- 5 The United Nations Food and Agriculture Organization (FAO) does not present the production of blackberries separately, rather it publishes the data aggregated alongside other berries, excluding strawberries, raspberries, blueberries, and barberries. According to the 2016 data, Mexico is the leading blackberry producer (FAO)..

3.1 მარწყვი

ზაფხულში ახალი მარწყვი ყველაზე მოთხოვნადი კენკრაა ევროპაში⁶. ევროპელები წელიწადში საშუალოდ 1.2 მლნ. ტონა მარწყვს მოიხმარენ და მოხმარება ზრდადი ტემპით ხასიათდება. მარწყვის ყველაზე მაღალი მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ფიქსირდება იტალიაში, გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში, სადაც საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე მოდის 3 კგ. წელიწადში. საკმაოდ მაღალია მოხმარება საფრანგეთში, ესპანეთსა და ჰოლანდიაში. ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა დიდი რაოდენობის მარწყვს თავად აწარმოებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპაში მარწყვით თვითუზრუნველყოფა მაღალია. სასათბურე მეურნეობები და მარწყვის სახეობების დივერსიფიკაცია, რაც მარწყვის სეზონის გახანგრძლივებას უზრუნველყოფს, ევროკავშირის ქვეყნებს საშუალებას აძლევს, ადგილობრივი წარმოებით ფაქტობრივად სრულად დააკმაყოფილონ ადგილობრივი მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, მარწყვის ევროკავშირში ექსპორტის შესაძლებლობა მაინც არსებობს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელს შეუძლია განსაკუთრებული გემოვნური თვისებების მქონე მარწყვის ჯიშების მიწოდება, ეფექტიანი ლოჯისტიკის პირობებში (განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტის წამახალისებელი ცენტრი, 2019 წ.)

ევროკავშირის ბაზარი განსაკუთრებით მომთხოვნიანია ახალი ხილის მიმწოდებლების მიმართ და მოითხოვს გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილებას, ევროკავშირში იმპორტის შემთხვევაში. ასე, მაგალითად, მარწყვისთვის განსაზღვრულია ზომა, შექრიანობა და შეფუთვა (მე-3 ცხრილი).

3.1. Strawberries

In summer, the demand for fresh strawberries is greatest in Europe.⁶ Europeans typically consume 1.2 million tons of strawberries on an annual basis, and the pace of consumption is increasing. The highest consumption of strawberries per capita is recorded in Italy, in Germany, and the UK, where on average, 3 kg of strawberries are consumed per person annually. The consumption is also quite high in France, Spain, and the Netherlands. The majority of EU countries produce substantial amounts of strawberries themselves, which helps maintain a self-sustaining strawberry market in the European Union. While, greenhouse farms and diversification of strawberry variety provide stability in the season, thus allowing EU countries to fully satisfy their local demands. Nevertheless, provided efficient logistics, the possibility still remains for the export of strawberries to the European Union, especially when manufacturers can offer exceptional, flavorful varieties (Center for the Promotion of Imports from developing countries, 2019).

The European market is particularly demanding of fresh fruit suppliers and requires certain standards for import into the EU; those requirements are related to the strawberry size, sugar content, and packaging (Table 3).

6 ამოღებულია: <https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/fresh-strawberries/>; 17.03.2019

6 Source: <https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/fresh-strawberries/>; 17.03.2019

მე-3 ცხრილი. მოთხოვნები მარწყვის მიმართ

Table 3. Requirements for strawberries

მინიმალური ზომა ⁷ Minimal size ⁷	შაქრიანობა Sugar content	შეფუთვა Packaging
25 მმ 'Extra' 1-ლი კლასი; 18 მმ 1-ლი და მე-2 კლასი.	8 brix - მინიმალური; 10-13 brix - სტანდარტული; 12-16 brix - იდეალური.	250 გრ. და 500 გრ.
25 mm 'Extra' 1st class; 18 mm 1st and 2nd class.	8 brix - minimal; 10-13 brix - standard; 12-16 brix – ideal.	250 g and 500 g

წყარო: CBI market intelligence platform. ამოღებულია: <https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/fresh-strawberries>, 15.03.2019

Source: CBI market intelligence platform. Source: <https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/fresh-strawberries>, 15.03.2019

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირში მარწყვი დიდი რაოდენობით იწარმოება, განვითარებადი ქვეყნებიდან ევროკავშირში მარწყვის იმპორტმა 2017 წელს 35700 ტონას მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ევროპული მარწყვი ძალიან მაღალი ხარისხით გამოირჩევა და მისთვის კონკურენციის გასაწევად ქართველმა მწარმოებელმა უნდა მოახდინოს ფოკუსირება ისეთ პერიოდზე, როდესაც მარწყვის მიწოდება ევროკავშირის ბაზარზე შედარებით დაბალია.

ევროკავშირის ქვეყნების ბაზრები მარწყვის მიმწოდებლებს შორის შემდეგნაირად არის გადანაწილებული:

- ეგვიპტური მარწყვი შედის ჰოლანდიის, გერმანიისა და ბელგიის ბაზარზე;
- მაროკო, ძირითადად, ფოკუსირებულია ესპანეთსა და საფრანგეთზე;
- თურქული მარწყვი შედის რუმინეთის ბაზარზე;
- იორდანია შედარებით მცირე რაოდენობას აწვდის ჰოლანდიასა და დიდ ბრიტანეთს;
- ალბანური მარწყვი, ძირითადად, იტალიის ბაზარზე გადის;
- პერუ ფოკუსირებულია ესპანეთის ბაზარზე. აღსანიშნავია შედარებით ახალი მოთამაშეებიც – ეთიოპია და იორდანია. მაროკანული

Though strawberries are produced in large quantities in the European Union, strawberry imports from developing countries to the EU reached 35,700 tons in 2017. It should also be noted that European strawberries have distinguishable qualities, and, for the best advantage, Georgian manufacturer should focus on trade in the periods when EU strawberry supply is low.

EU markets are distributed in the following manners among strawberry suppliers:

- Egyptian strawberries are imported to the Netherlands, Germany, and Belgium;
- Morocco is mainly focused on Spain and France;
- Turkish strawberries are imported to the Romanian market;
- Jordan provides a relatively small amount to the Netherlands and Great Britain;
- Albanian strawberries are primarily imported to the Italian market;
- Peru focuses on the Spanish market. The new players on the market, Ethi-

7 ზომა განისაზღვრება ცენტრალური კვეთის (the equatorial section) მაქსიმალური დიამეტრით.

7 The size is determined by the maximum diameter of the central section.

და თურქული მარწყვის გარდა, სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან მარწყვის ევროპაში იმპორტი საჰაერო გზით ხდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ესპანეთის როლი მარწყვის ბაზარზე. ესპანეთის სეზონი აქტიურია მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში სეზონი არ არის. თებერვლიდან მაისამდე, როცა ესპანეთში მარწყვის სეზონია, არაევროპელი მიმწოდებლისთვის ძალზე ძნელია კონკურენციის განევა ესპანეთისთვის. სეზონის დასაწყისში ესპანეთში შემოდის მაროკანული და ეგვიპტური მარწყვი. ორივე ქვეყანა ძალზე კონკურენტუნარიანია, ფასის თვალსაზრისით. ესპანეთი არის მაროკანული მარწყვის ყველაზე მსხვილი რეექსპორტიორი. ესპანეთის ძლიერი პოზიციის გამო, რეკომენდებულია, იმ პერიოდზე ფოკუსირება, როდესაც ესპანეთში არ არის სეზონი. ასეთი პერიოდია ოქტომბერ-იანვარი.

ამ პერიოდზე ფოკუსირება საკმაოდ ძნელია საქართველოსთვის, ვინაიდან აქ მარწყვის სეზონი, ძირითადად, აპრილის ბოლოს იწყება და ივლისამდე გრძელდება (მე-4 ცხრილი).

opia and Jordan, are also worth recognizing. With the exception of Moroccan and Turkish strawberries, the countries listed above supply Europe by air.

As the Spanish season becomes active prior to Northern Europe, Spain plays a pivotal role within the strawberry market. The Spanish season starts in February and lasts until May, and during these periods it is very difficult for non-European suppliers to compete with Spain. Though at the beginning of the season, Moroccan and Egyptian strawberries are imported to Spain. Moreover, both countries are very competitive in terms of price. Spain is also the largest re-exporter of Moroccan strawberries.

Due to Spain's robust position on the market, it is recommended that trade be focused on a period when there is no strawberry season in Spain; namely, October-January. However, concentrating on this period is difficult for Georgia, where the strawberry season begins around the end of April and lasts until July (Table 4).

მე-4 ცხრილი. მარწყვის წარმოების სეზონები მსოფლიოში

Table 4. Strawberry production seasons around the world

ქვეყნები Country	იანვ. Jan.	თებ. Feb.	მარ. Mar.	აპრ. Apr.	მაისი May	ივნ. Jun.	ივლ. Jul.	აგვ. Aug.	სექ. Sep.	ოქტ. Oct.	ნოემ. Nov.	დეკ. Dec.
საქართველო Georgia												
ჰოლანდია Netherlands												
ბელგია Belgium												
დიდი ბრიტანეთი Great Britain												
გერმანია Germany												
პოლონეთი Poland												
პერუ Peru												
იორდანია Jordan												
ეთიოპია Ethiopia												
ეგვიპტე Egypt												
მაროკო Morocco												
იტალია Italy												
ესპანეთი Spain												
თურქეთი Turkey												

წყარო: CBI market intelligence platform. ამოღებულია: <https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/fresh-strawberries>, 17.03.2019

Source: CBI market intelligence platform: <https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/fresh-strawberries>, 17.03.2019

ახალი მარწყვის ფასები და მოსავლიანობა წარმოდგენილია მე-5 ცხრილში.

Fresh strawberry prices and yields are presented below (Table 5).

მე-5 ცხრილი. მარწყვის ფასი და მოსავლიანობა

Table 5. Strawberry prices and yields

ქვეყანა Country	მწარმოებლის ფასი (აშშ დოლარი/ტონა) Producer price (USD / ton)	მოსავლიანობა (ტონა/ჰა) Yield (t / ha)
მაროკო Morocco	1044	45
პოლონეთი Poland	1263	4
ესპანეთი Spain	1268	53
საქართველო Georgia	2469	8

წყარო: FAOSTAT, 2019 წ.

Source: FAOSTAT, 2019

ორგანულ წარმოებასთან მიმართებაში აღსანიშნავია, რომ იგი განსაკუთრებით მაღალია ჩრდილოეთ ევროპაში. თუმცა ორგანული მარწყვის წარმოება საკმაოდ რთულია და მწარმოებელთა რაოდენობაც შეზღუდულია. უმსხვილესი ორგანული მარწყვის მწარმოებელი ევროკავშირში პოლონეთია (6000 ტ. 2016 წელს), ამასთან, ძალიან მოკლე წარმოების სეზონით. შედარებით ნაკლებს აწარმოებენ ესპანეთი (5000 ტ. 2016 წელს) და გერმანია (3000 ტ. 2016 წელს).

ორგანული მარწყვის წარმოება შესაძლოა განსაკუთრებით საინტერესო იყოს შრომატევად წარმოებაზე ფოკუსირებული მცირე კომპანიებისთვის. თუმცა, ვინაიდან ორგანული მარწყვის შენახვისუნარიანობა ძალიან დაბალია, ლოჯისტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება გაყინულ მარწყვს, ევროპული ბაზარი საკმაოდ კონცენტრირებულია და აქ დომინირებენ გერმანია, საფრანგეთი და ჰოლანდია, რომლებზეც მოდის იმპორტის 60%. განვითარებადი ქვეყნებიდან მაროკო გაყინული მარწყვის ძირითადი მიმწოდებელია ევროკავშირში. სხვა განვითარებადი ქვეყნები არიან ჩი-

It is furthermore noteworthy that organic production is considerable in Northern Europe. Organic strawberry farming is quite a complicated process and the number of manufacturers is still limited. The largest organic strawberry producer in the EU is Poland (6,000 tons in 2016), though they sustain a very short productive season, and less still is produced by Spain (5,000 t in 2016), and Germany (3,000 t in 2016).

Organic strawberry production is often particularly viable for small companies, focused on labor-intensive production. Yet, as organic strawberries have a limited shelf life, the logistics become extremely important.

The European market for frozen strawberries is fairly concentrated, and it is dominated by Germany, France, and the Netherlands, which account for 60% of the import. From developing countries, Morocco is the main supplier of the frozen fruit to the European Union. The other developing countries supplying strawberries to the EU are China, Egypt, Turkey, and Serbia. Poland is the largest exporter within the

ნეთი, ეგვიპტე, თურქეთი და სერბეთი. თვითონ ევროკავშირში კი უმსხვილესი ექსპორტიორია პოლონეთი, რომელზეც მოდის მთლიანი ბაზრის 30%. ექსპორტის ზრდით გამოირჩევიან სერბეთი, კოლუმბია და უკრაინა. ისინი გაყინული მარწყვის მიწოდებლების პოზიციას სტაბილურად იმყარებენ ევროკავშირის ბაზარზე. ასე, მაგალითად, კოლუმბიის ექსპორტი ევროკავშირში 2012 წელს 4000 ევრო იყო, 2016 წელს კი ამ მაჩვენებელმა 4.2 მლნ. ევროს მიაღწია. მიუხედავად ასეთი ზრდისა, ამ ეტაპზე პოლონეთი აშკარა დომინანტია გაყინული მარწყვის ბაზარზე.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში გაყინული მარწყვის მოხმარება ევროკავშირში წლიურად 5%-ით იზრდებოდა. გაყინული მარწყვის მოხმარება დამოკიდებულია პოლონეთის მოსავალზე. ექსპერტების მოსაზრებით, გაყინულ მარწყვზე მოთხოვნა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან იგი აქტიურად გამოიყენება საკვებწარმოებაში.

გაყინული მარწყვის ბაზარზე ევროპაში მთავარი მოთამაშეები არიან: Crops, Descours, Dirafrost, Binder International, Agrana, ARDO, Döhler, Zentis და Zuegg. ყველაზე მსხვილი საცალო მოვაჭრეები კი არიან პოლონური Hortex Holding, ბრიტანული Permira, იტალიური Eurofood, შვედური Findus Group და გერმანული Frosta.

3.2 მოცვი

ჯანსაღი კვების პოპულარიზაციამ მოცვის მოხმარების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია ევროპაში, რასაც მოჰყვა მსოფლიო მასშტაბით წარმოების გაზრდა. ევროკავშირში მოცვი, ძირითადად, ჩილედან, მაროკოდან და პერუდან შემოდის. ნავარაუდევია, რომ მოთხოვნა მოცვზე მომავალშიც გაიზრდება, თუმცა ოფიციალურად ზრდის პოტენციური ზუსტად არ არის შეფასებული.

მოცვის საშუალო მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე ევროპაში უფრო დაბალია, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც მოცვი ტრადიციული

EU, with a 30% share of the total market. While export growth is also remarkably high in Serbia, Colombia, and Ukraine, as they have been steadily strengthening their roles as strawberry suppliers to the EU market. For instance, Colombian export to Europe in 2012 amounted to 4,000 EUR, though by 2016, the figure had reached 4.2 mln. EUR. Despite such growth, Poland is still the vivid leader within the frozen strawberry market.

It should also be noted that over the last five years consumption of frozen strawberries has grown by 5% in the EU. The supply of frozen strawberries is heavily dependent on the Polish harvest. Experts suggest that the demand for frozen strawberries will further increase in the future, as the fruit is utilized more actively in food production.

The main players in the EU frozen strawberry market are: Crops, Descours, Dirafrost, Binder International, Agrana, ARDO, Döhler, Zentis, and Zuegg. While, the largest retailers are: the Polish Hortex Holding, the British Permira, the Italian Eurofood, the Swedish Findus Group, and the German Frosta.

3.2. Blueberries

The ever increasing popularity of healthy nutrition has resulted in a significant rise in European blueberry consumption, thus resulting in increased worldwide production. Blueberries are mainly imported to the European Union from Chile, Morocco, and Peru. It is expected that demand will increase further still in the future, although the potential for growth has not yet been precisely assessed. The average consumption of blueberries per capita is lower in Europe

კენკრაა. აშშ და კანადა უმსხვილესი მწარმოებლები არიან. მათი სეზონი ემთხვევა ევროპის სეზონს და იქიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივი მოხმარება აშშ-სა და კანადაში მაღალია, თბილი კლიმატის მქონე ქვეყნებს (მათ შორის, საქართველოსაც) აქვთ საშუალება, სარგებელი მიიღონ ევროპაში მზარდი მოთხოვნიდან, რაც დასტურდება პერუდან და ჩილედან მოცვის ექსპორტის ზრდით ევროკავშირის ბაზარზე.

განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტირებული მოცვი ევროკავშირში, ძირითადად, ჰოლანდიასა და ბრიტანეთში შედის. ეს უკანასკნელი მოცვის დიდი მოხმარებით გამოირჩევა და მას მოცვით ესპანეთიც ამარაგებს.

მოცვისთვის მარკეტინგის კუთხით ყველაზე პერსპექტიული მიმართულებები უკავშირდება ჯანმრთელობაზე აქცენტს. მოცვი შეიცავს დიდი ოდენობით C ვიტამინს და ხელს უწყობს გახდომას. სწორედ ამ მახასიათებლების გამო გახდა მოცვი, კომერციული თვალსაზრისით, უფრო პოპულარული.

როგორც მარწყვის შემთხვევაში, მოცვის მიმართაც გარკვეული მოთხოვნებია, ზომისა და შეფუთვის კუთხით (მე-6 ცხრილი).

than in North America, where the blueberry is a more traditional fruit.

The US and Canada are the largest producers of blueberries. Their blueberry production season coincides with the European season, and since local consumption is high in the US and Canada, countries with warm climates (including Georgia) are able to benefit from the growing European demand; as confirmed by an increase in the export of blueberries from Peru and Chile to the EU.

Blueberries exported from developing countries mainly enter the EU through the Netherlands and the UK. The latter is characterized by a high consumption of blueberries and is also supplied by Spain.

In terms of marketing, blueberries health-related aspects are particularly important; blueberries contain a large amount of vitamin C and are believed to contribute to weight loss. Such features have made blueberries much more popular in recent years.

As with strawberries, blueberries have certain requirements of size and packaging (Table 6).

მე-6 ცხრილი. მოთხოვნები მოცვის მიმართ

Table 6. Requirements for blueberries

ზომა Size	შეფუთვა Packaging
ექსტრა დიდი. 90 ცალ მოცვზე ნაკლები ჭიქაში (237 მლ-იანი ჭიქა); Extra-large- fewer than 90 berries in one cup (237 ml);	125 გრ. - 500 გრ. 125 g - 500 g
დიდი. 90-129 ცალი ჭიქაში; Large- 90-129 pieces in one cup;	
საშუალო. 130-189 ცალი ჭიქაში; Medium- 130-189 pieces in one cup;	
პატარა. 190-250 ცალი ჭიქაში Small- 190-250 pieces in one cup.	

ასევე მოთხოვნადია ორგანული მოცვიც, თუმცა მისი ბაზარი ამ ეტაპზე მცირე ზომისაა, მაგრამ მოთხოვნა მზარდია. განსაკუთრებით გამოირჩევა ორგანულ მოცვზე მოთხოვნით სკანდინავიური ქვეყნები და გერმანია. ორგანული მოცვის მიწოდება შეზღუდულია.

ზოგადად, სექტორის განვითარებასთან ერთად, კონკურენციაც და წარმოების დონეც იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ უმსხვილეს მწარმოებლებად აშშ, კანადა და ჩილე რჩებიან, ბაზარზე ჩნდება ახალი მოთამაშეებიც. ესენი არიან პერუ, მექსიკა და მაროკო. ევროპაში ამ ეტაპზე მოცვის დიდი რაოდენობა შედის ჩილედან, მაროკოდან და პერუდან. საკმაოდ აქტიურად ვითარდებიან სამხრეთ აფრიკა და არგენტინაც. ამ ქვეყნების ბაზრებზე დაკვირვება მნიშვნელოვანია საქართველოს კონკურენტული პოზიციების შეფასებისთვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ პერუსა და არგენტინის მოცვი მიეწოდება ჩინეთის ბაზარსაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირში მისაწოდებლად არგენტინას და პერუს ნაკლები მოცვი რჩებათ და, შესაბამისად, ევროკავშირი ეძებს მოცვის ახალ მომწოდებლებს, რათა მომხმარებლისთვის სტაბილური მიწოდება უზრუნველყოს.

რაც შეეხება ფასებს, ორგანული მოცვი საშუალოდ 30%-ით მეტი ღირს, ვიდრე ტრადიციული მეთოდებით მოყვანილი მოცვი, ხოლო გაყინული მოცვის ფასი ახალი მოცვის ფასის დაახლოებით ნახევარია.

საქართველოში მოცვი მარტსა და აპრილში ირგვება, მოსავლის აღება კი ივნისის ბოლოს იწყება და აგვისტოს ბოლომდე გრძელდება. საქართველოს სეზონი ემთხვევა ჰოლანდიის, გერმანიის, პოლონეთის, კანადისა და აშშ-ის ჩრდილოეთის სეზონს (მე-7 ცხრილი), რაც კონკურენციის თვალსაზრისით, მდგომარეობას ართულებს.

Organic blueberries are also in demand, and although the market is currently rather small, the demand is steadily growing. Scandinavian countries and Germany have a particularly high demand for organic blueberries, but their supply is still rather limited.

Alongside development in the sector, competition and production levels are also generally expanding. Despite the fact that the US, Canada, and Chile are still the largest producers, new players are appearing on the market. In particular, Peru, Mexico, and Morocco have begun to emerge. At this stage, vast amount of blueberries enters the EU from Chile, Morocco, and Peru. South Africa and Argentina are also developing their production quite actively. It is important to observe trends on those markets in order to assess Georgia's potential to compete. It is worth mentioning that since Peru and Argentina supply the Chinese market, the EU is seeking new suppliers in order to provide their customers with a stable supply.

In terms of pricing, organic blueberries are worth 30% more than blueberries grown using traditional methods, while the price of frozen blueberries is around half that of fresh blueberries.

In Georgia, blueberry planting takes place in March-April, and harvesting begins at the end of June and lasts until the end of August. The Georgian blueberry season coincides with the growing seasons of the Netherlands, Germany, Poland, Canada, and the Northern United States (Table 7), which, in terms of competition, further complicates the situation.

მე-7 ცხრილი. მოცვის სეზონი
საქართველოსა და მსოფლიოში

Table 7. Blueberry season in Georgia
and around the world

ქვეყნები Country	იანვ. Jan.	თებ. Feb.	მარ. Mar.	აპრ. Apr.	მაისი May	ივნ. Jun.	ივლ. Jul.	აგვ. Aug.	სექ. Sep.	ოქტ. Oct.	ნოემ. Nov.	დეკ. Dec.
საქართველო Georgia												
მაროკო Morocco												
მექსიკა Germany												
ესპანეთი Spain												
აშშ (სამხ.) USA (south)												
საფრანგეთი France												
პორტუგალია Portugal												
ჰოლანდია Netherlands												
გერმანია Germany												
პოლონეთი Poland												
კანადა Canada												
აშშ (ჩრ.) USA (North)												
პერუ Peru												
არგენტინა Argentina												
ურუგვაი Uruguay												
ჩილე Chile												
სამხრეთ აფრიკა South Africa												

წყარო: CBI market intelligence platform. ამოღებულია:
<https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/blueberries>, 17.03.2019; საქართველოს აგროსასურსათო
სექტორი – თქვენი ინვესტიციისთვის.

Source: CBI market intelligence platform: <https://www.cbi.eu/market-information/fresh-fruit-vegetables/blueberries>, 17.03.2019; Georgia's agro sector - for your investment.

ახალი მოცვის ფასები და მოსავლიანობა წარმოდგენილია მე-8 ცხრილში.

Fresh blueberry prices and yields are presented below (Table 8).

მე-8 ცხრილი. მოცვის ფასი და მოსავლიანობა

Table 8. Blueberry prices and yields

ქვეყანა Country	მწარმოებლის ფასი (აშშ დოლარი/ტონა) Producer price (USD / ton)	მოსავლიანობა (ტონა/ჰა) Yield (t / ha)
მექსიკა Mexico	3096	11
საქართველო Georgia	3846	7

წყარო: ამოღებულია: <http://www.bm.ge/ka/article/saqartveloshi-lurji-mocvis-warmoeba-izrdeba-21388>, 22.03.2019

Source: <http://www.bm.ge/en/article/saqartveloshi-lurji-mocvis-warmoeba-izrdeba-21388>, 22.03.2019

ვინაიდან მოცვის ბაზარი მზარდია და თან მოცვის სეზონი ქვეყნების უმეტესობაში შედარებით მოკლეა, ეს კენკრა მაღალი პოტენციალით გამოირჩევა.

Since the blueberry market is expanding and the production season is relatively short in most countries, one can conclude that Georgian grown blueberries have significant potential on EU markets.

3.3 ჟოლო და მაცვალი

3.3. Raspberries and blackberries

აღსანიშნავია, რომ მარწყვისა და მოცვისაგან განსხვავებით, ჟოლოსა და მაცვალზე ინფორმაცია შედარებით მწირია. სტატისტიკური მონაცემები ვაჭრობის შესახებ ამ ორი კენკრის შემთხვევაში, სხვა სახის კენკრასთან ერთად, აგრეგირებულად არის ხელმისაწვდომი.

Unlike strawberries and blueberries, information on raspberries and blackberries is relatively scarce. The statistical data about their trade is only available in an aggregated form (alongside varieties of certain other berry).

რაც შეეხება ჟოლოს წარმოებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჟოლოს წამყვანი მწარმოებელი ქვეყანაა რუსეთი, მას მოჰყვება აშშ. ჟოლო არის მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ფინანსურად მომგებიანი კენკროვანი კულტურა (N. Kljajić, 2013 წ.). კონტინენტების მიხედვით, ჟოლოს ყველაზე დიდი მწარმოებელი ევროპის რეგიონია. მასზე მოდის მსოფლიოში მთლიანი წარმოების 60%-ზე მეტი.⁸

As previously noted, Russia is the leading producer of raspberries and is followed by the US. Raspberries are one of the most important and financially profitable varieties of berry in the world (Kljajić, N., 2013).

Europe is the largest raspberry producing area and accounts for more than

8 კაცია ი., ხატისაშვილი ნ. — „ჟოლოს ღირებულებათა ვაჭრის ანალიზი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, 2018 წ.

მსოფლიოში ყველაზე დიდი რაოდენობით ნედლი ჟოლოს ექსპორტს ახორციელებს მექსიკა. მას მოჰყვება ესპანეთი და აშშ. აშშ შედის როგორც იმპორტიორი, ისე ექსპორტიორი ქვეყნების პირველ ხუთეულში. იმპორტის მიმართულებით პირველ ხუთეულში ასევე შედის სამი ევროპული ქვეყანა. აშშ-ს მოჰყვება კანადა, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.⁹

რაც შეეხება გაყინულ ჟოლოს, მასზე მოდის ევროკავშირში შემოტანილი გაყინული კენკროვნების 70%. ევროკავშირის შიგნით იმპორტი თითქმის ტოლია განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტისა, რაც, ძირითადად, განპირობებულია პოლონეთის ძლიერი პოზიციებით.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სლოვენიიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა იმპორტი (92%-იანი საშუალო წლიური ზრდა), რაც, ძირითადად, გაყინული ჟოლოს დიდი იმპორტით არის განპირობებული. ევროკავშირს გარეთ მყოფი ქვეყნებიდან გაყინული ჟოლოს ყველაზე მსხვილი მიმწოდებელია სერბეთი. მასზე მოდის ბაზრის 36%. აღსანიშნავია, რომ სერბეთი გაყინული ჟოლოსა და მაცვლის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორია და ნელ-ნელა ზრდის თავის ექსპორტს ევროკავშირის ბაზარზე მაშინ, როდესაც ჩილეს ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე წლიურად საშუალოდ 4%-ით მცირდება.

ევროკავშირში გაყინული კენკრის ყველაზე მსხვილი ექსპორტიორი პოლონეთია. იგი მსოფლიოში გაყინული ჟოლოს მიწოდებით მეორე ადგილზეა.

საქართველოში ჟოლოს სეზონი იწყება ივლისში და მთავრდება ოქტომბერში (მე-9 ცხრილი).

60% of the world's total production.⁹ However, Mexico exports the largest quantities of raw raspberries in the world, followed by Spain, and the United States. The US is one of the top five of both importing and exporting countries, followed by Canada, Germany, Great Britain, and France.⁹

Raspberries represent 70% of the frozen berries imported into the EU. The EU market is supplied practically equally by EU countries and by developing countries, mainly due to Poland's strong position on the market.

Imports from Slovenia into the EU have increased significantly over the last five years (92% average annual growth), due largely to the notable import of frozen raspberries. While, Serbia is the largest supplier of frozen raspberries from outside the EU, holding 36% of the market. It is striking that Serbia, as the largest exporter of frozen raspberries and blackberries, is slowly increasing its exports to the EU, while Chilean export to the EU is reducing by approximately 4% annually.

Poland, as the largest exporter of all frozen berries within the EU, occupies second place in frozen raspberry trade worldwide.

In Georgia, the raspberry season starts in July and ends in October (Table 9).

⁹ კაცია ი., ხატისაშვილი ნ. — „ჟოლოს ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, 2018 წ.

⁸ Katsia, I. & Khatishashvili, N. (2018). Value chain analysis of raspberries in Mtskheta-Mtianeti

⁹ Katsia, I. & Khatishashvili, N. (2018). Value chain analysis of raspberries in Mtskheta-Mtianeti

მე-9 ცხრილი. ყოლოს სეზონი საქართველოსა და მსოფლიოში

Table 9. Raspberry season in Georgia and the world

ქვეყნები Country	იანვ. Jan.	თებ. Feb.	მარ. Mar.	აპრ. Apr.	მაისი May	ივნ. Jun.	ივლ. Jul.	აგვ. Aug.	სექ. Sep.	ოქტ. Oct.	ნოემ. Nov.	დეკ. Dec.
საქართველო Georgia												
ბელგია Belgium												
ჩილე Chile												
ესპანეთი Spain												
საფრანგეთი France												
დიდი ბრიტანეთი Great Britain												
იტალია Italy												
ყირგიზეთი Kyrgyzstan												
სამხრეთ კორეა South Korea												
ჰოლანდია Netherlands												
პოლონეთი Poland												
რუმინეთი Romania												
ტუნისი Tunisia												
თურქეთი Turkey												
აშშ USA												

წყარო: <https://www.tridge.com>
ამოღებულია: <https://www.tridge.com/intelligences/raspberry/season>, 17.03.2019

Source: <https://www.tridge.com/intelligences/raspberry/season>, 17.03.2019

ახალი ყოლოს ფასები და მოსავლიანობა წარმოდგენილია მე-10 ცხრილში.

Fresh raspberry prices and yields are presented below (Table 10).

მე-10 ცხრილი. ყოლოს ფასები და მოსავლიანობა

Table 10. Raspberry prices and yields

ქვეყანა Country	მწარმოებლის ფასი (აშშ დოლარი/ტონა) Producer price (USD / ton)	მოსავლიანობა (ტონა/ჰა) Yield (t / ha)
ჩილე Chile	3937	4
მექსიკა Spain	1977	19
ესპანეთი Spain	7608	18
საქართველო Georgia	1923	7

წყარო: FAOSTAT, 2019 წ.

Source: FAOSTAT, 2019

რაც შეეხება ახალ მაცვალს, ევროკავშირში ახალი მაცვლის¹⁰ სავაჭრო ბრუნვამ 2017 წელს 44.2 მლნ. ევრო შეადგინა. ევროკავშირი არის ახალი მაცვლის წმინდა იმპორტიორი, შესაბამისად, მისი სავაჭრო სალდო უარყოფითია. ევროკავშირში მაცვლის იმპორტი 2012-2017 წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა და ძირითადი მომწოდებლები არიან: მექსიკა, გვატემალა, სერბეთი, სამხრეთ აფრიკა და მაროკო.¹¹

რაც შეეხება გაყინულ მაცვალს, მისი სავაჭრო ბრუნვა ბევრად აღემატება ახალი მაცვლის სავაჭრო ბრუნვას. ევროკავშირი არის გაყინული მაცვლის წმინდა იმპორტიორი, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ გაყინული მაცვლის იმპორტი 2012 წლიდან მოყოლებული მცირდება. გაყინული მაცვლის ძირითადი მიმწოდებლები ევროკავშირის ბაზარზე არიან სერბეთი, ჩილე, უკრაინა, ბოსნია და ჰერცეგოვინა და ჩინეთი.¹²

The trade turnover for fresh blackberries in the European Union amounted to 44.2 million USD in 2017.¹⁰ The EU is a net importer of fresh blackberries, therefore the trade balance is negative. Between 2012-2017, blackberry import into the EU was characterized by growth, with the main suppliers being Mexico, Guatemala, Serbia, South Africa, and Morocco.¹¹

Interestingly, the trade turnover of frozen blackberries is much higher than that of fresh blackberries. The EU is a net importer of frozen blackberries, although it is also noteworthy that the import of frozen blackberries has been decreasing since 2012. The main suppliers of frozen blackberries to the EU market are Serbia, Chile, Ukraine, Bosnia and Herzegovina, and China.¹²

10 მაცვალზე ვაჭრობის შესახებ მონაცემები განიხილება თუთის და ლოგანის კენკრასთან ერთად.

11 კოჭლამაზიშვილი ი., ხატისაშვილი ნ. - „მაცვლის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი კახეთის რეგიონში“, 2019 წ.

12 კოჭლამაზიშვილი ი., ხატისაშვილი ნ. - „მაცვლის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი კახეთის რეგიონში“, 2019 წ.

10 The data on blackberry trade also includes with mulberries and lagoon berries.

11 Kochlamazishvili, I. & Khatishashvili, N. (2019). Value chain analysis of blackberries in Kakheti

12 Kochlamazishvili, I. & Khatishashvili, N. (2019). Value chain analysis of blackberries in Kakheti

ქართული მაცვალე ბაზარზე გვხვდება ივნი-სიდან ოქტომბრის ჩათვლით (მე-11 ცხრილი).

Georgian blackberries are found on the market between June and October (Table 11).

მე-11 ცხრილი. მაცვლის სეზონი საქართველოსა და მსოფლიოში

Table 11. Blackberry season in Georgia and in the world

ქვეყნები Country	იანვ. Jan.	თებ. Feb.	მარ. Mar.	აპრ. Apr.	მაისი May	ივნ. Jun.	ივლ. Jul.	აგვ. Aug.	სექ. Sep.	ოქტ. Oct.	ნოემ. Nov.	დეკ. Dec.
საქართველო Georgia						■	■	■	■	■		
ბელგია Belgium							■	■	■			
კოლუმბია Colombia							■	■	■	■	■	
ეკვადორი Ecuador			■	■	■	■	■	■	■	■	■	■
ეგვიპტე Egypt				■	■	■						
ესპანეთი Spain			■	■	■	■	■	■	■			
დიდი ბრიტანეთი Great Britain												
იტალია Italy							■	■	■	■		
ყირგიზეთი Kyrgyzstan								■	■	■		
ჰოლანდია Netherlands						■	■	■	■	■		
რუმინეთი Romania								■	■	■		
თურქეთი Turkey						■	■	■	■	■		

წყარო: <https://www.tridge.com>
ამოღებულია: <https://www.tridge.com/intelligences/blackberry/season>, 17.03.2019

Source: <https://www.tridge.com/intelligences/blackberry/season>, 17.03.2019

ევროპის უმსხვილეს მიმწოდებლებთან (სერბეთი, პოლონეთი) შედარებით, ქართული

Compared to Serbia and Poland, the largest suppliers in Europe, the Georgian

მაყვალის შემოდის 3 კვირით ადრე, რაც დადებითად აისახება ქართული მაყვლის კონკურენტუნარიანობაზე ევროკავშირის ბაზარზე.

ახალი მაყვლის ფასები და მოსავლიანობა წარმოდგენილია მე-12 ცხრილში.

blackberry season starts three weeks earlier, which positively affects the competitiveness of Georgian blackberries on the EU market.

Fresh blackberry prices and yields are presented below (Table 12).

მე-12 ცხრილი. მაყვლის ფასები და მოსავლიანობა

Table 12. Blackberry prices and yields

ქვეყანა Country	მწარმოებლის ფასი (აშშ დოლარი/ტონა) Producer price (USD / ton)	მოსავლიანობა (ტონა/ჰა) Yield (t / ha)
დიდი ბრიტანეთი Great Britain	6785	8
საქართველო Georgia	962	6

წყარო: ამოღებულია: <https://www.statista.com/statistics/466799/blackberries-wholesale-price-average-united-kingdom-uk/>, 22.03.2019

Source: <https://www.statista.com/statistics/466799/blackberries-wholesale-price-average-united-kingdom-uk/>, 22.03.2019

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კენკროვნების ყველა სახეობის შემთხვევაში, გაყინულ კენკრას აქვს თავისი სეგმენტი და პოტენციალი, რომელიც გასათვალისწინებელია ბაზრის პოტენციალის შეფასებისას. განსაკუთრებით აქტუალურია გაყინული ხილის გამოყენება წველების, ჯემების, ნაყინისა და იოგურტის წარმოებაში. მართალია, გაყინული კენკრის ფასი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ახლისა, მაგრამ დღესდღეობით ეს ნიშაც უდავოდ აქტუალურია (მე-13 ცხრილი).

As previously discussed, frozen berries are in high demand as they are used in the production of juice, jam, ice cream, and yoghurt. While it is true that frozen berries are less valuable than fresh, their niche is nevertheless indisputably relevant (Table 13)

მე-13 ცხრილი. გაყინული ხილის ფასის კომპონენტები

Table 13. Components of frozen fruit price

ექსპორტის ეტაპები Stages of export	ფასის სახეობა Types of price	საშუალო წილი საცალო ფასში Average share in retail price
წარმოება Production	ფერმერის (მწარმოებლის) ფასი Farm gate price	10-15%
შენახვა, გაყინვა Storage, freezing	FOB ან FCA ფასი FOB or FCA price	35-40%
ტრანსპორტირება Transportation	CIF ფასი CIF price	37-42%
იმპორტი, შენახვა და გადამუშავება Import, storage, and processing	საბითუმო ფასი (დღგ-ის ჩათვლით) Wholesale price (VAT)	60%
საცალო გაყიდვა (შეფუთვისა და შენახვის ჩათვლით) Retail sale (including packaging and storage)	საცალო ფასი (300 გრ. შეფუთვის შემთხვევაში) Retail price (300 grams in packing)	100%

წყარო: CBI market intelligence platform. ამოღებულია: <https://www.cbi.eu/market-information/processed-fruit-vegetables-edible-nuts/frozen-strawberries/europe>, 17.03.2019

Source: CBI market intelligence platform. Source: <https://www.cbi.eu/market-information/processed-fruit-vegetables-edible-nuts/frozen-strawberries/europe>, 17.03.2019

4. დასკვნა

კენკროვნების ბაზარი საკმაოდ კონკურენტულია და მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბაზარზე კენკროვნებზე მოთხოვნა მზარდია, ყველა კენკრის შემთხვევაში დომინანტი მოთამაშეები არიან პოლონეთი, სერბეთი, ჩილე, მაროკო. ამრიგად, მსხვილი მწარმოებლები არიან როგორც ევროკავშირის შიგნით, ისე მის გარეთაც, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს კონკურენტული პოზიციების შესაფასებლად.

4. CONCLUSION

The berry market is quite competitive and the demand for berries is mounting around the world. As a whole, for each variety of berry, the dominant players are Poland, Serbia, Chile, and Morocco. Thus, there are large-scale producers both inside and outside of the EU, which is a significant consideration when assessing Georgia's competitive position.

საქართველოში კენკროვნების წარმოებაში ყველაზე დიდი წილი მარწყვზე (87%) მოდის, მას მოჰყვება ჟოლო (10%) და შემდეგ სხვა და-წარჩენი კენკროვნები (3%) (საქსტატი, 2019 წ.). საქართველოში კენკროვნების წარმოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე, ვინაიდან ეს სექტორი მოდერნიზებული არ არის. მაშინ, როდესაც ევროკავშირის უმსხვილესი მწარმოებლები თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გაუმჯობესებული ჯიშების ხარჯზე მნიშვნელოვნად ახანგრძლივებენ წარმოების სეზონს.

ქართული კენკრის საექსპორტო ბაზრები ამ ეტაპზე არის რუსეთი, უკრაინა, ყატარი. ევროკავშირის ქვეყნები ნაკლებად არიან წარმოდგენილი საექსპორტო ბაზრების ჩამონათვალში.

ზოგადად, კენკროვნების სექტორისა და მით უფრო ექსპორტის განვითარებისთვის ყველაზე პერსპექტიული მიმართულებებია:

1. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება წარმოებაში – პლასტიკური გვირაბები, შუშის სათბურები, კრეფისას ტექნიკის (მანქანა-რობოტების) გამოყენება¹³ და ა.შ.
2. მდგრადი წარმოების პრაქტიკა, რომელიც არ ვნებს გარემოს და ხელს უწყობს სოციალურ თანასწორობასა და სამართლიანობას;
3. ორგანული წარმოება;
4. მარკეტინგის დროს ჯანსაღ კვებაზე აქცენტის გაკეთება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ფაქტორები იმ კენკროვნებისთვის, რომელთა ბაზრები კონკურენციის მაღალი დონით გამოირჩევა. ასეთია, მაგალითად, მარწყვის ბაზარი. მარწყვის საერთაშორისო ბაზარზე არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე რეკომენდებულია მარწყვის იმპორტის ჩანაცვლებაზე ფოკუსირება, შემდეგი მიზეზების გამო:

- საქართველოს სეზონი ემთხვევა ჰოლანდიის, ბელგიისა და დიდი ბრიტანეთის სეზონებს;
- ბევრი ქვეყანა (ჰოლანდია, ბელგია, პერუ,

In Georgia, the largest share of berry production comes on strawberries (87%), followed by raspberries (10%), and finally other berries (3%) (Geostat, 2019). As the sector is not modernized, the production of berries in Georgia depends significantly on soil and climatic conditions. Whereas, the largest EU producers have greatly extended their production seasons by utilizing modern technologies and improving the variety of their crops.

The key export markets for Georgian berries are currently: Russia, Ukraine, and Qatar, while EU countries are less represented on the Georgian export markets.

The options with the most potential for the berry sector and the development of export, in general, are:

1. The use of modern technologies in production process - plastic tunnels, glass greenhouses, machinery (robots), etc.,¹³
2. Practice sustainable production that does not affect the environment and promotes social equality and fairness;
3. Organic production;
4. Focus on healthy nutrition in marketing campaign.

These factors are particularly important for the varieties of berry on the market with the highest levels of competition, such as in the strawberry market. Given current trends on strawberry market, it is recommended to focus more on import substitution rather than exports because of the following reasons:

The Georgian season coincides with that of the Netherlands, Belgium, and the UK;

- Many countries (the Netherlands, Belgium, Peru, Italy, Spain) supply the market with strawberries throughout the year, which indicates their competitiveness.

13 ამოღებულია: <https://www.bbc.com/news/business-43816207>, 21.03.2019

13 Source: <https://www.bbc.com/news/business-43816207>, 21.03.2019

იტალია, ესპანეთი) ანვდის ბაზარს მარწყვს, ფაქტობრივად მთელი წლის განმავლობაში, რაც მათ მაღალ კონკურენტუნარიანობაზე მიუთითებს.

- საქართველოში შიდა ბაზარზე მარწყვზე მოთხოვნა მაღალია, ვინაიდან იგი ძალზე პოპულარული კენკრაა. ამჟამად ადგილობრივი წარმოება მხოლოდ ნედლ მარწყვზე აკმაყოფილებს მოთხოვნას, ხოლო გადამამუშავებლების (საკონდიტრო ნაწარმი, რძის ნაწარმი, სამკურნალო და კოსმეტიკური საშუალებები) მოთხოვნის დაკმაყოფილება, ძირითადად, იმპორტის მეშვეობით ხდება. ამიტომ ადგილობრივ ბაზარზე მარწყვს შედარებით მეტი პოტენციალი აქვს.

რაც შეეხება ჟოლოს, ნედლი სახით მისი მოხმარება უფრო დაბალია, ვიდრე მარწყვისა, თუმცა იგი აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა პროდუქტის (საკონდიტრო ნაწარმი, რძის ნაწარმი, სამკურნალო და კოსმეტიკური საშუალებები) წარმოებაში. გარდა ამისა, ჟოლო ცნობილია თავისი სამკურნალო თვისებებით. ასევე ქართულ ჟოლოს შედარებით დაბალი ფასი აქვს, მწარმოებელთა ფასებს თუ შეეხება, რაც მის კონკურენტუნარიანობაზე მიანიშნებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ ევროკავშირში ექსპორტირებისას მწარმოებელთა ფასი გაიზრდება, დამატებითი დანახარჯების გამო, რაც უარყოფითად აისახება კონკურენტუნარიანობაზე. აუცილებელია ევროკავშირის ბაზრის გარდა, აზიის ბაზრების განხილვა, სადაც ექსპორტი შესაძლოა უფრო ნაკლებ დანახარჯთან იყოს დაკავშირებული.

იქიდან გამომდინარე, რომ მაცვლის ბაზარი ნაკლებად გაჯერებულია, ვიდრე მარწყვისა და ჟოლოს ბაზრები და ქართველი მწარმოებლის ფასი ძალიან დაბალია, ამ კულტურასაც აქვს პოტენციალი ევროკავშირის ბაზარზე. ამ ბაზართან მიმართებაში, ყველაზე დიდი პოტენციალით მოცვი ხასიათდება, რადგან ეს კენკრა შედარებით ახალია ევროკავშირის ბაზარზე, ჩრდილოეთ ამერიკასთან შედარებით და ქართველ მწარმოებელს შეუძლია დაიმკვიდროს აქ ადგილი. მოცვის საექსპორტო პოტენცია-

- As an extremely popular berry, the demand for strawberries is high on the domestic Georgian market. Presently, local production only meets the demand for raw strawberries, and the demand for goods using processed strawberries (confectionery, dairy products, medicines, and cosmetics) is met largely with import. Therefore, strawberries still have greater potential on the domestic market.

In the case of raspberries, their raw consumption is less than that of strawberries, however they are used in the production of various products (confectionery, dairy products, medicines, and cosmetics). Raspberries are also known for their medicinal properties.

Georgian raspberries currently have relatively low producer prices, although they may significantly increase with export to the EU. Aside from the EU market, it is essential to also consider Asian markets, where the export cost is likely to be less.

Since the blackberry market is less saturated than the strawberry or raspberry market, and as Georgian production prices are low, blackberries have export potential to EU markets.

Blueberries have the highest potential in the EU as they are relatively new to the European market. It is noteworthy that Georgia has already started to exploit their export potential. The blueberries produced in the country, considering that local demand is low, are almost entirely exported.

In order to be successful on domestic and foreign markets, it is important to deal with the challenges in the berry value chain. These challenges are common for almost all varieties of berry and can conditionally be divided into the following groups:

ლის ათვისება საქართველოში აქტიურად არის დაწყებული. ქვეყანაში წარმოებული მოცვი თითქმის სრულად გადის ექსპორტზე. ეს იმი-თაც არის განპირობებული, რომ ადგილობრივი მოთხოვნა მასზე არც ისე მაღალია.

ადგილობრივი თუ უცხოური ბაზრების ასათვისებლად, მნიშვნელოვანია იმ გამონ-ვევებთან გამკლავება, რომელიც არსებობს კენკროვნების ღირებულებათა ჯაჭვში. ეს გამონვევები მეტ-ნაკლებად საერთოა ყველა სახის კენკროვნისთვის და პირობითად შეი-ძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. წარმოებასთან დაკავშირებული სირთუ-ლები – ამინდთან დაკავშირებული რისკები (ქარი, გვალვა და ა.შ.); მავნებლები და დაავა-დებები და მათთან ბრძოლის შესახებ ცოდნის ნაკლებობა, დაბალხარისხიანი ნედლეული (ნერგები, შხამ-ქიმიკატები), საწარმოო რე-სურსების სიმწირე (განსაკუთრებით სამუშაო ძალის) და, ზოგადად, დარგის ექსპერტების ნაკლებობა და კენკროვნების წარმოების მცირე გამოცდილება ამ დარგში; აქვე უნდა აღინიშნოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. მართალია, კენკრა სხვა კულ-ტურებთან შედარებით უფრო მაღალ შემო-სავალს იძლევა, თუმცა კენკროვნების ბალის გაშენებას შედარებით დიდი ინვესტიციაც სჭირდება, რაც, ხშირ შემთხვევაში, დიდი გამონვევაა ფერმერისთვის.
 2. წარმოების შემდგომი რგოლების განუვითა-რებლობა – შენახვა, გადამუშავება და გასაღე-ბა. შენახვის თვალსაზრისით, გამონვევაა მა-ცივრების ნაკლებობა. გადამუშავების თვალ-საზრისით, გამონვევაა გადამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა, ხოლო გასაღების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი გამონვევაა ის, რომ კენკროვნების მწარმოებელთა უმეტე-სობას არ აქვს კარგად შესწავლილი კენკრის ბაზარი და არ იცის სხვადასხვა პლატფორმის შესახებ, რომელთა მეშვეობითაც შეუძლია თავისი ნაწარმის გასაღება. გარდა ამისა, არ არსებობს საკონტრაქტო ურთიერთობები.
 3. სერტიფიცირებისა და ლოჯისტიკის ხარჯები ექსპორტის შემთხვევაში – მწარმოებელთა
1. Production related difficulties- the risks associated with weather (wind, drought, etc.); a lack of knowledge concerning the pests and diseases, and poor awareness of how to tackle them; low quality raw materials (seedlings, chemicals); a lack of production resources (especially workforce); a general lack of specialists; and a lack of experience in berry production. Access to finances is also rather limited. While berries are more profitable than other cultures, cultivating berry orchards needs larger investments, which, in many cases, becomes a significant challenge for farmers.
 2. Underdeveloped post-harvest treat-ment, storage, processing, and sell- ing- the lack of cold storages is a major challenge; while in terms of produc- tion, there is a lack of processors in the country; and as for sales, most berry producers have not researched the market and are unaware of the vari- ous platforms they can use to trade their products. In addition, there are no contractual agreements between the value chain actors. Exports to EU markets are also associated with high- er certification costs, and small and mid-sized farmers may not be able to cover such expenses.
 3. The costs of export certification and logistics- most producers need in- formation on the various food safe- ty standards and respective costs of certification, as well as logistics related information (tariffs, efficient alternatives for transportation).
- It is worth mentioning that the state has made a clear attempt to resolve pro- duction related difficulties, confirmed by the availability of state support projects for berry producers, however, less atten-

უმეტესობა საჭიროებს მხარდაჭერას, ინფორმაციის მიწოდებას სურსათის უვნებლობის სხვადასხვა სტანდარტზე, მათთან ასოცირებულ დანახარჯებსა და ლოჯისტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე (ტარიფები, ტრანსპორტირების ეფექტიანი ალტერნატივები). ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტი ასოცირდება სერტიფიცირების მაღალ დანახარჯებთან, რაც მცირე და საშუალო ფერმერისთვის მნიშვნელოვანი შემადგენელი ფაქტორია.

აღსანიშნავია, რომ წარმოებასთან დაკავშირებული სირთულეების გადაჭრის მცდელობა დღეს ნამდვილად არსებობს და ეს დასტურდება კენკროვნების წარმოების მხარდაჭერი პროექტებით, თუმცა ნაკლები ყურადღება ექცევა წარმოების შემდგომი რგოლების განვითარებას.

შემდგომი რგოლების განვითარებისთვის გასათვალისწინებელია კენკროვან კულტურებს შორის განსხვავებები. ასე, მაგალითად, ყოლოზე მოთხოვნა მაღალია როგორც უცხოეთში, ისე საქართველოში მაშინ, როდესაც ლურჯი მოცვი, ძირითადად, ექსპორტზე გადის, ვინაიდან ადგილობრივად მასზე მოთხოვნა, ყოლოსთან შედარებით, არც ისე მაღალია. თითოეული კულტურისთვის შესაბამისი ჯაჭვის განვითარება გულისხმობს ამ განსხვავებების გათვალისწინებას და შესაბამის კენკრაზე უკეთესად მორგებული ღონისძიებების შემუშავებას.

5. რეკომენდაციები

• წარმოების მოცულობის გაზრდა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა

მიუხედავად იმისა, რომ კენკროვნების წარმოება ზრდადი ტემპით ხასიათდება, მთლიანი წარმოება ამ ეტაპზე ძალიან მცირეა და ვერ აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნას. სეზონურობის პრობლემის გადასაჭრელად, რეკომენდებულია ახალი ჯიშების, სასათბურე მეურნეობების განვითარება. აუცილებელია ირიგაციის პრობლემის მოგვარებაც, რაც საქართველოს ბევრი რეგიონისთვის საკმაოდ დიდი გამოწვევაა.

tion has been paid to the development of post-harvest treatment. For efficient post-harvest treatment, the differences between various berry crops should be taken into consideration. For example, the demand for raspberries is high both in foreign countries and in Georgia, while blueberries are mainly exported, with lower local demand than raspberries. The creating of the appropriate value chain for each berry crop highlights both their differences and the necessity for creating measures that are better adjusted to the specificities of a crop.

5. RECOMMENDATIONS

• Increase production volume and adopt new technologies

Despite berry production being characterized by increasing expansion, overall production is currently very low and does not meet even local demand. The adoption of new varieties of crop and the development of greenhouses is recommended to help solve the problems of seasonality. It is also necessary to resolve problems with irrigation, a great challenge for many regions in Georgia.

• Develop contractual farming

Berry prices are high and, therefore, farmers do not see the need to cooperate with processors or cold storage agents. Their harvest is usually sold easily at a high price, nevertheless, since berry production grows annually, the supply is likely to increase in the future. Prices will drop as a result of the increased supply, and it might become more difficult for berry producers to sell their produce without contracts. Therefore, it is necessary

- **საკონტრაქტო ურთიერთობების განვითარება**

დღესდღეობით კენკროვნებზე ფასი მაღალია და ამიტომ ფერმერები ვერ ხედავენ გადამამუშავებლებთან ან, თუნდაც, სამაცივრე კომპანიებთან თანამშრომლობის აუცილებლობას. მოსავალი, როგორც წესი, ადვილად იყიდება მაღალ ფასად, თუმცა, ვინაიდან კენკროვნების წარმოება წლიდან წლამდე იზრდება, მოსალოდნელია, მომავალში მინოდების გაზრდა, რაც შეამცირებს ფასს და შესაძლოა, კენკრის გასაღება გართულდეს. ამიტომ აუცილებელია საკონტრაქტო ფერმერობის (contract farming) განვითარება, რაც არა მხოლოდ ამცირებს რისკებს ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის, არამედ დადებითად აისახება მთლიანად სექტორის განვითარებაზე.

- **კენკროვნების მწარმოებელთა კვალიფიკაციის ამაღლება**

ვინაიდან კენკრის მოყვანა ფერმერულ მეურნეობებში საკმაოდ ახალი პრაქტიკაა ქართველი ფერმერებისთვის, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არსებობს ცოდნასთან დაკავშირებული სირთულეები. ამ გამოწვევის გადასაჭრელად საჭიროა ტექნიკური საკითხებისადმი მიძღვნილი ტრენინგების ჩატარება ფერმერებისთვის. ასევე რეკომენდებულია ვიზიტები წარმატებულ მეზობელ ქვეყნებში (მაგ., სერბეთი, პოლონეთი), რათა მოხდეს მათი პრაქტიკის გაზიარება. ტრენინგები არ უნდა ატარებდეს ზოგად ხასიათს და აუცილებელია ტრენინგის ჩატარებამდე კენკროვნების მწარმოებელთა საჭიროებების შესწავლა, რომ ტრენინგის თემა შეესაბამებოდეს ამ საჭიროებებს.

- **სამაცივრე მეურნეობების განვითარება**

დღესდღეობით ჯაჭვის ეს რგოლი განუვითარებელია, რაც იწვევს იმას, რომ ფერმერი იძულებულია, თავისი მოსავალი რაც შეიძლება მალე გაყიდოს. მომავალში წარმოების ზრდის ფონზე, ერთიანად დიდი რაოდენობის მოსავლის გაყიდვა ძალზე გართულდება. მნიშვნელოვანია შოკური გაყინვის

to develop contractual farming to avoid risks within the chain.

- **Capacity building of berry producers**

In order to address the lack of knowledge and experience in berry production, it is necessary to conduct training on the technical facets of berry production. It is also recommended that visits to successful nearby countries (e.g. Serbia and Poland) are organized to learn from their practices. Training sessions should be specific and in line with needs of berry producers. Prior to training, a needs assessment of berry producers is recommended.

- **Develop cold storages**

This part of the chain is currently rather underdeveloped, causing farmers to sell their harvest as soon as possible. Once production increases, it will become more difficult for farmers to sell larger amounts in such a short time. It is important to have access to cold storages, IQF methods in particular, as berries frozen in this manner better maintain their taste and have improved visual features, which is positively reflected in the final price. Moreover, the availability of cold storage clearly prolongs the berry season.

- **Promote cooperation among farmers**

The consolidation of farms will help reduce the costs of certification and storage. A small-scale farmer will have difficulty purchasing cold storage space, however a cooperative can make such an investment. The consolidation of farms is also necessary to store large quantities of products. As with smaller volumes, the cost of refrigeration cannot be offset, and this should be taken into consideration with the IQF method. Aside from this issue, large-scale producers can supply buyers with greater quantities.

მაცივრებზე ხელმისაწვდომობა, ვინაიდან ასეთი მეთოდით გაყინული კენკრა უფრო მეტად ინარჩუნებს გემოვნურ თვისებებს და აქვს უკეთესი ვიზუალური მახასიათებლები, რაც დადებითად აისახება ფასზე. გარდა ამისა, სამაცივრე მეურნეობებზე ხელმისაწვდომობა, ცხადია, გაახანგრძლივებს კენკროვნების მიწოდების პერიოდს.

- **ფერმერებს შორის კოოპერაციის ხელშეწყობა**
ფერმერული მეურნეობების გამსხვილება ხელს შეუწყობს სერტიფიცირებისა და შენახვის დანახარჯების შემცირებას. წვრილ ფერმერს გაუჭირდება სამაცივრეს შექმნა, თუმცა კოოპერაცივს შეუძლია ასეთი ინვესტიციის განხორციელება. გამსხვილება აუცილებელია პროდუქციის დიდი მოცულობის შესანახად, ვინაიდან მცირე მოცულობის შემთხვევაში, სამაცივრეზე განეული დანახარჯების ამოღება ვერ მოხდება. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ეს ფაქტი შოკური გაყინვის მაცივრის შექმნისას, რომლის დანახარჯიც შედარებით მაღალია. მსხვილ მწარმოებლებს შეუძლიათ დიდი რაოდენობის პროდუქციით უზრუნველყონ მყიდველი.

- **ბიზნესის მხარდამჭერი ასოციაციების განვითარება**

ამჟამად არსებული ასოციაციები შედარებით სუსტია და ფერმერს ვერ სთავაზობს იმ სერვისებს, რომელსაც სთავაზობენ მსგავსი ასოციაციები სხვა ქვეყნებში თავის წევრებს. ასეთი ასოციაციების როლი ღირებულებათა ჯაჭვში უნდა გაიზარდოს, ვინაიდან სწორედ მათ შეუძლიათ ფერმერს მიაწოდონ ინფორმაცია, ბაზრების, საკანონმდებლო ცვლილებების, ახალი ტექნოლოგიების და ა.შ. შესახებ.

გარდა ამისა, ასოციაციებს შეუძლიათ:

- აგროკალენდრების დეტალური ანალიზი (კვირის და არა თვეების დონეზე);
- სურსათის უვნებლობის სანიმუშო პრაქტიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება მწარმოებლისთვის;
- ლოჯისტიკასთან დაკავშირებული ინ-

- **Develop business support associations**

The existing associations are relatively weak and cannot offer farmers services akin to those offered by similar associations in other countries. The role of such associations should be increased in the value chain, since they can provide farmers with additional information about markets, legislative amendments, new technologies, etc. In addition, associations can:

- Prepare detailed analyses of agricultural calendars (on a weekly, not monthly basis);
- Provide producers with information regarding food safety standards;
- Provide producers with information related to logistics;
- Introduce innovations (varieties, technologies) to producers;
- Strengthen links with supermarkets, negotiate contract terms, study their requirements, etc.

- **Assist realization**

It is important to access various trading platforms, through which berry producers and buyers can make contact. Some of such platforms are listed below:

CBI Market Intelligence Platform:

<https://www.cbi.eu>

TRIDGE Global Trade Platform:

<https://www.tridge.com>

Frozen sales: <https://www.frozenb2b.com>

IRO Raspberry: <http://www.internationalraspberry.net/home>

East Fruit: <https://east-fruit.com>

ფორმაციის მიწოდება მწარმოებლის-
თვის;

- » მწარმოებლისთვის ახალ ჯიშებთან და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სიახლეების გაცნობა;
- » სუპერმარკეტებთან კავშირების დამყარება, მათთან მოლაპარაკებების წარმოება და მათი მოთხოვნების შესწავლა და ა.შ.

- **გასაღების გზების მოძიება**

მნიშვნელოვანია წვდომა სხვადასხვა სავაჭრო პლატფორმაზე, რომელთა მეშვეობითაც კონკროვნების გამყიდველებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ პოტენციურ მყიდველებს. ასეთი პლატფორმებია:

CBI Market Intelligence Platform: <https://www.cbi.eu>

TRIDGE Global Trade Platform: <https://www.tridge.com>

Frozen sales: <https://www.frozenb2b.com>

IRO Raspberry: <http://www.internationalraspberry.net/home>

East Fruit: <https://east-fruit.com>

ბამოყენებელი ღირებულება

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2018 წ.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, 2018 წ.

კაცია ი., ხატისაშვილი ნ. – „წილის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, 2018 წ.

კოჭლამაზაშვილი ი., ხატისაშვილი ნ. – „მაყვლის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი კახეთის რეგიონში“, 2019 წ.

საქართველოს აგროსასურსათო სექტორი – თქვენი ინვესტიციისთვის.

საქსტატი, 2019 წ.

ბიზნესპლატფორმა: CBI Market Intelligence Platform: <https://www.cbi.eu>, მარტი, 2019 წ.

ბიზნესპლატფორმა: TRIDGE Global Trade Platform: <https://www.tridge.com>, მარტი, 2019 წ.

ინფორმაცია, ბოსტნეულისა და ხილის ბაზრების შესახებ – East Fruit: <https://east-fruit.com>

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, ამოღებულია: <http://www.fao.org/faostat/en/#home>, მარტი, 2019 წ.

წილის საერთაშორისო ორგანიზაცია: IRO Raspberry: <http://www.internationalraspberry.net/home>, მარტი, 2019 წ.

საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი. ამოღებულია: <https://www.trademap.org>, მარტი, 2019 წ.

სტატისტიკის პორტალი. ამოღებულია: <https://www.statista.com/statistics/466799/blackberries-wholesale-price-average-united-kingdom-uk/>, მარტი, 2019 წ.

BBC ნიუსი. ამოღებულია: <https://www.bbc.com/news/business-43816207>, მარტი, 2019 წ.

Business Media Georgia. ამოღებულია: <http://www.bm.ge/ka/article/saqartveloshi-lurji-mocvis-warmoeba-izrdeba-/21388>, მარტი, 2019 წ.

BIBLIOGRAPHY

The Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia. (2018).

The Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia, Agricultural Projects Management Agency. (2018).

Katsia, I. & Khatishashvili, N. (2018). Value chain analysis of raspberries in Mtskheta-Mtianeti.

Kochlamazishvili, I. & Khatishashvili, N. (2019) Value chain analysis of blackberries in Kakheti.

Georgia's agro sector - for your investment.

Geostat. (2019).

Business Platform: CBI Market Intelligence Platform: <https://www.cbi.eu>. (March 2019).

Business Platform: TRIDGE Global Trade Platform: <https://www.tridge.com>. (March 2019).

Information about vegetable and fruit markets - East Fruit: <https://east-fruit.com>.

United Nations Food and Agriculture Organization, Source: <http://www.fao.org/faostat/en/#home>. (March 2019).

International Raspberry Organization: IRO Raspberry: <http://www.internationalraspberry.net/home>. (March 2019).

International Trade Center. Retrieved: <https://www.trademap.org>. (March 2019).

Statistics portal. Retrieved: <https://www.statista.com/statistics/466799/blackberries-wholesale-price-average-united-kingdom-uk/>. (March 2019).

BBC News. Retrieved: <https://www.bbc.com/news/business-43816207>. (March 2019).

Business Media Georgia. Retrieved: <http://www.bm.ge/en/article/saqartveloshi-lurji-mocvis-warmoeba-izrdeba-/21388>. (March 2019).



ევროკავშირი
საქართველოსთვის

EU4Business

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA), ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი (ISET-PI), ასოციაცია „ათინათი“, სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDA), ექსპორტის განვითარების ასოციაცია (EDA) და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

This publication been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of Georgian Farmers' Association, ISET Policy Institute association "Atinati", Civil Development Agency, Export Development Association and do not necessarily reflect the views of the European Union.

